საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კობეშავიძე მიხეილ (გრიგოლ) დიმიტრის ძე

მ. კობეშავიძე

კობეშავიძე მიხეილ (გრიგოლ) დიმიტრის ძე (15. III. 1910, სოფ. კვახჭირი, ახლანდ. თერჯოლის მუნიციპალიტეტი, – 1997, თბილისი), ქორეოგრაფი, საქართვ. სახ. არტისტი (1985). ცეკვის ხელოვნებას დაეუფლა ქ. ქუთაისის ქორეოგრ. სასწავლებელში (ხელმძღვ. ი. კირთავა). 1935-იდან სიცოცხლის ბოლომდე მუშაობდა სამართალდამცავ სტრუქტურებში. მონაწილეობდა და შემდეგ ხელმძღვანელობდა თვითმოქმედ ქორეოგრ. კოლექტივებს; 1963- იდან იყო შსს კულტურის სახლის (ყოფ. ძერჟინსკის კლუბი) სამხატვრო ხელმძღვანელი. 1954 თავის ვაჟთან, ჰ. კობეშავიძესთან ერთად ჩამოაყალიბა ქართ. ხალხ. ცეკვის ახალგაზრდული ანსამბლი, რ-მაც საყოველთაო აღიარება მოიპოვა. აღსანიშნავია მისი მაღალპროფესიულ დონეზე შესრულებული ცეკვები ,,ოსური სალხინო“, ,,მაღლახელური“, ,,,მონადირეთა ცეკვა“ და სხვ. საგანგებოდ აღსანიშნავია **კ**-ის მიერ სანიმუშო ოსტატობით დადგმული ,,ქართული სიუიტა“. იყო ხალხ. ცეკვის III საკავშ. ფესტივალის ლაურეატი (1974, I ადგილი და დიდი პრიზი), 1975 კი – გდრ-ის ფოლკლორული ფესტივალის გამარჯვებული (I ადგილი და დიდი პრიზი). ამავე წელს ანსამბლს ,,მხედრული“ ეწოდა.

ლიტ.: ს უ ხ ი შ ვ ი ლ ი გ., ქართული ხალხური ქორეოგრაფიის მოღვაწენი, თბ., 1988.